

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის

ოქმი N 12

ქ.ვანი თავისუფლების N65

12 ივნისი 2018 წელი

13 : 00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, თორნიკე ერისთავი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

**საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:** შოთა გიორგაძე, მალხაზ ცერცვაძე, გია ოჩხიკიძე, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

**მოწვეული პირები:**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - **ივანე მამფორია.**

**კომისიის სხდომის თავმჯდომარე** - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

**დ ღ ის წ ე ს რ ი გ ი**

1.,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ივანე მამფორია/

**გადაწვევით:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიხედვით,

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა იზრდება 80,0 ათასი ლარით, საკუთარი შემოსულობების ნაწილში.

გადასახდელების ნაწილში გათვალისწინებულია შემდეგი სახის ცვლილებები;

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ასიგნების მოცულობა იზრდება 42,0 ათასი ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი 30,0 ათასი ლარით, ხოლო სხვა ხარჯების მუხლი 12,0 ათასი ლარით.
2. მუნიციპალიტეტის მერიის ასიგნების მოცულობა საქონლისა და მომსახურების მუხლში მცირდება 13,5 ათასი ლარით.
3. სარეზერვო ფონდის მოცულობა იზრდება 20,0 ათასი ლარით.
4. სამხედრო სამსახურის დაფინანსება საქონლისა და მომსახურების მუხლში იზრდება 4,5 ათასი ლარით.
5. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები ტენდერში წარმოშობილი ეკონომიის ხარჯზე მცირდება 56,0 ათასი ლარით.
6. სანიაღვრე - საწრეტი არხებისა და ნაოირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია მცირდება 18,0 ათასი ლარით .
7. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია მცირდება 9,0 ათასი ლარით.
8. ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობის ასიგნების მოცულობა სკვერების რეაბილიტაციის დასრულების მიზნით იზრდება 30,0 ათასი ლარით.
9. საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსების მოცულობა იზრდება 40,0 ათასი ლარით.
10. სარაგბო კლუბ აიეტის დაფინანსების მოცულობა იზრდება 10,0 ათასი ლარით.
11. სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსების მოცულობა იზრდება 10,0 ათასი ლარით.
12. სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსების მოცულობა იზრდება 10,0 ათასი ლარით.
13. კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსების მოცულობა იზრდება 10,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან იყო მოსაზრებები; კარგი იქნება დამატებით სარაგბო კლუბ აიეტის დაფინანსება, კომისიის მხრიდან სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

**გადაწყვეტის:**

დამტკიცდეს და ცვლილება შევიდეს „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

მომხრე - 8  
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N 2/*

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე